



სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 ივლისის N 04/454 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 ივლისის N 04/454 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით სს „თითიელ აშშ ჯგუფს“ (ს/ნ 205243048) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.
4. სს „თითიელ აშშ ჯგუფს“ (ს/ნ 205243048) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს




მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე





საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის
25 ივლისის N 04/454 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის
თაობაზე

ქ. თბილისი

2024

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი	3
1.1 განმცხადებლების პოზიცია.....	3
1.2 მოვაჭრის პოზიცია.....	4
თავი 2. ნორმატიული რეგულირება	11
თავი 3. სამოტივაციო ნაწილი	13
3.1 მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესი	13
3.2 უსამართლო სტანდარტული პირობები	15
თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი	27

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (ამჟამად - სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) 2023 წლის 31 მაისს წარმოდგენილი იქნა მოქალაქე გ---ა გ--ის (პ/ნ ---) N01/1809 განცხადება სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

2023 წლის 31 მაისის განცხადების საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 ივლისის N 04/454 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

საქმის შესწავლაში ჩართული იქნა მოქალაქე რ--ნ კ--ის (პ/ნ: -----) 2024 წლის 19 თებერვლის N01/955 განცხადება.

1.1 განმცხადებლების პოზიცია

გ--ა გ---ის განმარტებით, განმცხადებელმა 2023 წლის აპრილში, ონლაინ სავაჭრო აპლიკაციიდან „Farfetch“ გამოიწერა ძვირადღირებული ნივთი (სამკაული), რომლის წონაც 1 კილოგრამი და 700 გრამი იყო. ტრანსპორტირების თანხამ შეადგინა არა მოვაჭრის მიერ გაცხადებული ტარიფის შესაბამისი თანხა (1 კილოგრამზე 9 ამერიკული დოლარი ანუ 40 ლარი), არამედ 316 ლარი.

გ--ა გ---ის განმარტებით, მოვაჭრის პროგრამული აპლიკაცია მომხმარებელს ავალდებულებდა შეთავაზებული პირობების მონიშვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ოპერაციის შესრულება და ამანათის მიღება შეუძლებელი იყო. მისი განმარტებით, იგი დაეთანხმა მოვაჭრის სტანდარტულ პირობებს, სადაც როგორც თავად განმარტავს, მოვაჭრემ მასთან შეთანხმების გარეშე ჩაამატა დამატებითი უსაფრთხოების გადასახადის შემოღების შესახებ პირობა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიერ სტანდარტულ პირობებზე დათანხმება არ ნიშნავს ხელშეკრულების არსებით პირობებზე დათანხმებას და ე.წ დათანხმების დილაკის მონიშვნა მიიჩნია სტანდარტულ პროცედურულ თანხმობად.

განმცხადებელი, ასევე აღნიშნავს, რომ მას არც ელექტრონული ფოსტით, არც სატელეფონო შეტყობინებით და არც ზეპირსიტყვიერად არ მიუღია ინფორმაცია „დამატებითი უსაფრთხოების“ გადასახადის შესახებ. ამასთანავე, მოვაჭრეს დეტალურად არ განუმარტავს აღნიშნული გადასახადის გადახდის სანაცვლოდ რა მომსახურებას მიიღებდა. განმცხადებელი უთითებს, რომ მომხმარებელმა ზუსტად არ იციან, რომ ისინი ზედმეტად იხდიან გადასახადს, რადგან იგი ტრანსპორტირების ღირებულებაში შეუმჩნევლად არის გაერთიანებული. მომხმარებელი პრობლემური საკითხის გადასაჭრელად არაერთხელ დაუკავშირდა მოვაჭრეს, თუმცა, ქოლ-ცენტრის თანამშრომლის გარდა სხვა უფლებამოსილი პირი მას არ გასაუბრებია. შედეგად კი იგი იძულებული გახდა კუთვნილი ამანათის მიღების სანაცვლოდ გაზრდილი თანხა გადაეხადა.

გ---ა გ---ის განცხადებას მტკიცებულების სახით თან ერთვის მოვაჭრის მიერ, მომხმარებლის მოთხოვნის შემდეგ, მისთვის გადაგზავნილი ინვოისი, სადაც აღნიშნულია, რომ მოვაჭრის მომსახურების ღირებულება ჯამურად შეადგენს 326.47 ლარს, საიდანაც 38.76 ლარი არის ტრანსპორტირების თანხა, 16 ლარი - ღოკუმენტების მომზადების ღირებულება, 261.71 ლარი - შეადგენს „დამატებითი უსაფრთხოების“ გადასახადს და 10 ლარი დამატებით მოსაკრებელს.

რ-5 კ--ის 2024 წლის 19 თებერვლის N01/955 განცხადების თანახმად, „ამანათის უსაფრთხოების საფასურის“ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მოვაჭრის ხელშეკრულებაში, მაშინ როდესაც ტარიფის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, როგორც მოვაჭრის ხელშეკრულებაში, ისე სხვა ღია წყაროებში, მათ შორის იგი ცალკე გრაფაშია გამოტანილი მოვაჭრის ვებ-გვერდზე.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ რ---ნ კ---მა საზღვარგარეთ შეიძინა კონკრეტული ამანათი და მის საქართველოში გადმოსაზიდად ისარგებლა მოვაჭრის მომსახურებით. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ განცხადებას თან ერთვის მოვაჭრის მომსახურების გაწევის ინვოისი, სადაც მითითებულია, რომ მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 13.60 ლარს, საიდანაც 12.60 ლარი არის ტრანსპორტირების ღირებულება, ხოლო 1 ლარი - დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების საფასური.

განმცხადებლის განმარტებით, ამანათის ტრანსპორტირებისას ამანათის უსაფრთხოების მომსახურების ტარიფის გადახდა არის სავალდებულო ყველა მომხმარებლისთვის, იგი ავტომატურად ირთება ყველა მომხმარებლისთვის, შესაბამისად ამ ტარიფის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი, მკაფიო და ცხადი უნდა იყოს ყველგან, სადაც მითითებულია ტრანსპორტირების ტარიფის შესახებ ინფორმაცია, რადგან აღნიშნული წარმოადგენს ტრანსპორტირების ტარიფის განუყოფელ ნაწილს.

განმცხადებელი, ასევე აღნიშნავს, რომ ამანათის უსაფრთხოების მომსახურების ტარიფი დაწესებულია, იმისთვის, რომ მომხმარებელს აუნაზღაურონ დაკარგული ამანათების ღირებულება. დაკარგულ ამანათებზე პასუხისმგებელია გადამზიდველი და ამანათის დაზღვევა და ამანათების უსაფრთხოების მომსახურება არის დამატებითი, ნებაყოფლობითი მომსახურება და არა სავალდებულო, რადგან დაკარგული ამანათების ღირებულების ანაზღაურება ისედაც გადამზიდველი კომპანიის ვალდებულებაა.

1.2 მოვაჭრის პოზიცია

სააგენტომ მოვაჭრისგან 2023 წლის 6 ივნისის N02/1519 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია N01/1809 განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

მოვაჭრემ 2023 წლის 9 ივნისის N01/1932 და 2023 წლის 14 ივნისის N01/1986 წერილებით წარმოადგინა პოზიცია, სადაც განმარტა, რომ განმცხადებელი, გ---ა გ---ი განახლებულ ხელშეკრულებას დათანხმებულია ელექტრონული ფორმით „ვეთანხმები“ დილაკის მონიშვნის გზით. მოვაჭრემ „დამატებითი უსაფრთხოების“ გადასახადთან დაკავშირებით განმარტა, რომ

გ--ა გ--მა მის ამერიკის შეერთებული შტატების ფილიალში 2023 წლის 4 აპრილს მიიღო ამანათი თრეინგ ნომრით - 771773916618. ამანათის რეალური წონა გახლავთ 0.7 კგ. ხოლო მოცულობითი - 1.7 კგ. ინვოისის მიხედვით აღნიშნული ამანათის საქარველოში ტრანსპორტირების თანხა შეადგენს 326.47 ლარს. აღნიშნული თანხიდან ტრანსპორტირების საფასური გახლავთ 38.76 ლარი, განსაბაჟებელი დოკუმენტის მომზადება - 16 ლარი, დამატებითი საბაჟო მომსახურება 10 ლარი, ხოლო დამატებითი უსაფრთხოების მოსაკრებელი 261.71 ლარი.

მოვაჭრე უთითებს ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულების 8.8 პუნქტზე და განმარტავს, რომ დამატებითი უსაფრთხოების წესი რეგულირდება სწორედ ამ პირობით. აღნიშნული პუნქტის თანახმად, ამანათებზე დამატებითი მომსახურება გააქტიურდება ავტომატურად, სავალდებულო წესით, ამანათის უსაფრთხოების მომსახურების მოთხოვნებიდან გამომდინარე. 100 ლარამდე - 1 ლარი, 100-დან 200 ლარამდე - 2 ლარი, 200-დან 300 ლარამდე - 3 ლარი. 300 ლარიდან 3000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 2%-ს, 3000 ლარიდან 10,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 4%-ს, 10,000 ლარიდან 20,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 8%-ს, 20,000 ლარი ან მეტი ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 12%-ს. უსაფრთხოების მომსახურების თანხას მომხმარებელი იხდის საექსპედიტორო გადაზიდვის ღირებულებასთან ერთად.

განსახილველ შემთხვევაში „დამატებითი უსაფრთხოების“ თანხა გამოთვლილი იქნა ამანათის ღირებულების შესაბამისად. მომხმარებელს ამანათი დეკლარირებული აქვს 2 583 აშშ დოლარად, შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, „დამატებითი უსაფრთხოების თანხამ შეადგინა“ ნივთის ღირებულების 4%.

მოვაჭრე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მომხმარებელს გამოწერილი ჰქონდა ძვირადღირებული ნივთი - სამკაული, რასაც თავადაც ადასტურებს. სწორედ აღნიშნულმა გამოიწვია უსაფრთხოების მომსახურების ავტომატური გააქტიურება. გარდა აღნიშნულისა, მომხმარებლისთვის წინასწარ ცნობილი იყო იმ პირობების შესახებ, რომელიც „დამატებითი უსაფრთხოების“ მოსახურების წესსა და გადასახდელი თანხის ოდენობას ითვალისწინებდა.

მოვაჭრე, ასევე, განმარტავს, რომ უსაფრთხოების მომსახურების ჩართვის სავალდებულოობა ხელშეკრულებაში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კომპანია მოქმედებს საერთაშორისო საექსპედიტორო წესების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს ამანათების აშშ-დან საქართველოში ტრანსპორტირებისას მისი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში მომხმარებელს აუნაზღაურდეს შეძენილი ნივთის ღირებულება. მხარეთა შორის დისტანციურად დადებული ხელშეკრულების პირობებში განსაზღვრული ღირებულება მოიცავს საექსპედიტორო მომსახურების პროვიზიას და მომხმარებლის მიერ ხდება მისი ანაზღაურება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში.

სააგენტომ მოვაჭრისგან 2023 წლის 16 ივნისის N02/1594 წერილით გამოითხოვა დაზუსტებული ინფორმაცია შემდეგ გარემოებათა შესახებ:

1. მოქალაქე გ--ა გ--ის 2023 წლის 31 მაისის N01/1809 განცხადების თანახმად, იგი 2009 წლიდან არის სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ მომხმარებელი.

- არსებობდა თუ არა პირობა დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების შესახებ 2009 წელს, მაშინ, როდესაც განმცხადებელი მოვაჭრის მომხმარებელი გახდა.
 - იმ შემთხვევაში თუ დამატებითი უსაფრთხოების მომსახურებასთან დაკავშირებით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) განხორციელდა ცვლილება, როდის და როგორი ფორმით ეცნობა მომხმარებელს ამის შესახებ.
2. მომხმარებლის განმარტებით, მას მოვაჭრის პროგრამული აპლიკაცია ავალდებულებს შესაბამისი ღირებულებით დაეთანხმოს სტანდარტულ პირობებს.
- აქვს თუ არა USA2GEORGIA-ს მობილური აპლიკაცია და არსებობის შემთხვევაში, აპლიკაციაში დარეგისტრირებისას სავალდებულოა თუ არა სტანდარტულ პირობებზე დათანხმება მსგავსად ვებ-გვერდისა.
 - ეცნობება თუ არა ყველა მომხმარებელს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების, მათ შორის დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების ცვლილების შესახებ პროგრამული აპლიკაციის საშუალებით და რა ფორმით.
3. ხელშეკრულების 8.8. პუნქტის მიხედვით, „ამანათებზე დამატებითი მომსახურება გააქტიურდება ავტომატურად, სავალდებულო წესით, ამანათის უსაფრთხოების მომსახურების მოთხოვნიდან გამომდინარე.“
- ამანათის გადაზიდვის რა ეტაპზე ეცნობება მომხმარებელს დამატებითი მომსახურების გააქტიურების შესახებ.
 - დამატებითი მომსახურების გააქტიურება მომხმარებლის მიერ ხდება ყოველ კონკრეტულ ნივთთან დაკავშირებით თუ იგი ავტომატურად აქტიურდება ყველა ნივთის შემთხვევაში.
 - იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ნივთზე აქტიურდება დამატებითი მომსახურება, რა კრიტერიუმების მიხედვით იღებს მოვაჭრე გადაწყვეტილებას რომელ ნივთზე გააქტიუროს დამატებითი უსაფრთხოების მომსახურება და როდის/რა ფორმით ეცნობება მომხმარებელს ამის თაობაზე.
4. ხელშეკრულების 8.8 პუნქტში მითითებულია, რომ „100 ლარამდე - 1 ლარი, 100-დან 200 ლარამდე - 2 ლარი, 200-დან 300 ლარამდე - 3 ლარი. 300 ლარიდან 3000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 2%-ს, 3000 ლარიდან 10,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 4%-ს, 10,000 ლარიდან 20,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 8%-ს, 20,000 ლარი ან მეტი ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 12%-ს. უსაფრთხოების მომსახურების თანხას მომხმარებელი იხდის საექსპედიტორო გადაზიდვის ღირებულებასთან ერთად.“
- დამატებითი მომსახურებისთვის მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხის სანაცვლოდ, კონკრეტულად რის ღირებულება (ნივთის, ტრანსპორტირების თუ სხვა ღირებულება) აუნაზღაურდება მომხმარებელს და რა შემთხვევაში (დაკარგვის, დაზიანების, სხვა შემთხვევაში).
 - რით განსხვავდება დამატებითი უსაფრთხოების ჩართვისას მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევები ჩვეულებრივ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებისგან.

მოვაჭრემ აღნიშნული წერილის პასუხად 2023 წლის 29 ივნისის N01/2101 წერილით წარმოადგინა პოზიცია, სადაც განმარტა, რომ გ---ა გ----ი usa2georgia-ს მომხმარებელი გახდა 2010 წლის 5 სექტემბერს. ამ დროისთვის მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკა არ შეიცავდა დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების შესახებ პირობას. **აღსანიშნავია, რომ**

ხელშეკრულების სრულად ახალი რედაქცია იქნა პროგრამულად შეთავაზებული მომხმარებლებისთვის, რომლის მე-8 მუხლი ითვალისწინებდა აღნიშნული მომსახურების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული მომსახურება მომხმარებლებისთვის შეთავაზებული იქნა 2021 წლის 18 სექტემბერს. მომხმარებელი დაეთანხმა აღნიშნულ პირობას დილაკზე „ვეთანხმები“ დაჭრით. მოვაჭრის განმარტებით, მომხმარებელი ამ პერიოდთან ათულობით ამანათისთვის იხდიდა უსაფრთხოების საფასურს.

მოვაჭრის განმარტებით, გ---ა გ---ი ხელშეკრულების ახალ რედაქციას, რომელიც შეიცავდა ამანათის უსაფრთხოების მომსახურების წესს, დაეთანხმა 2022 წლის 7 მარტს, აღნიშნული თარიღიდან განმცხადებელს 100-მდე ამანათი აქვს გამოწერილი და ჩამოტანილი და ყველა მათგანის შემთხვევაში იგი იხდიდა უსაფრთხოების მოსაკრებელს. აღნიშნული კი ნიშნავს, იმას, რომ მან იცოდა ამ მოსაკრებლის არსებობისა და მისი გამოანგარიშების წესის შესახებ. მოვაჭრე უთითებს ხელშეკრულების 1.2 პუნქტზე, რომლის თანახმად „ექსპედიტორი კომპანიის მომხმარებლის რეგისტრაცია უფასოა და ნებაყოფლობითი. რეგისტრაცია ხორციელდება ვებ-გვერდზე www.USA2GEORGIA.com. მომსახურების პირობები საჯაროა. ექსპედიტორი კომპანიის მომსახურებით სარგებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი დაეთანხმა აღნიშნული ხელშეკრულების პირობებს, მხოლოდ მისი გაცნობის შემდეგ.“ აღნიშნულის დასადასტურებლად, მოვაჭრეს, წარმოდგენილი აქვს გ---ა გ---ის მიერ ხელშეკრულების ახალ რედაქციებზე დათანხმების პროგრამული ჩანაწერის „ეკრანის ანაბეჭდი“. მოვაჭრის მიერ წარმოდგენილ პოზიციას მტკიცებულების სახით თან ერთვის ისტორია მომხმარებლის მიერ თავისი “ექაუნთით” განხორციელებული ქმედებების შესახებ (ე.წ History of logs).

მოვაჭრის ინფორმაციით, მას ვებპორტალთან ერთად გააჩნია მობილური აპლიკაცია და მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს, როგორც ვებ-გვერდის მეშვეობით და შევიდეს „ოთახის ანგარიშზე“, ასევე, „მობილური აპლიკაციის“ საშუალებით. მოვაჭრის განმარტებით, მომხმარებლებს სავაჭრო პოლიტიკის ახალი რედაქცია გაეცნოთ, როგორც ვებგვერდის, ისე მობილური აპლიკაციის საშუალებით.

მოვაჭრე დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების გააქტიურებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ იგი აქტიურდება ავტომატურად, ხელშეკრულების ახალ რედაქციაზე დათანხმების შემდეგ. ხელშეკრულების მე-8 მუხლი ითვალისწინებს პირობას, რომლის 8.1 პუნქტის თანახმად, აღნიშნული მომსახურება გულისხმობს, საერთაშორისო საექსპედიტორო მომსახურების გაწევის ეტაპზე, კერძოდ ექსპედიტორის ამერიკის საწყობიდან, ზედღებულის დანიშნულების პუნქტამდე მომსახურებას. უსაფრთხოების მომსახურება აქტიურია ყველა ამანათთან დაკავშირებით, რომლის ტრანსპორტირებასაც ახორციელებს მოვაჭრე.

მოვაჭრე ამავე წერილით განმარტავს, რომ მომხმარებელს აუნაზღაურდება ამანათის აშშ-ს ან თურქეთის საწყობიდან ტრანსპორტირებისას გარეგანი დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში ნივთის შექცენის შესახებ ინვოისში მითითებული ღირებულება. აშშ-ს ან თურქეთის ოფისში დადასტურებულად მიღებული ამანათის დაკარგვის/გაუჩინარების შემთხვევაში კომპანია სრულად იღებს პასუხისმგებლობას, მათ შორის კერძო პირის მიერ გამოგზავნილი, Ebay-დან ან სხვა აუქციონში ნაყიდი პროდუქციის, ჩამოწერილი, შეკეთებული ან ნახმარი პროდუქციის შემთხვევაში. ზარალის დადასტურების შემთხვევაში კი თანხის ანაზღაურება რეისის

საქართველოში მიღებიდან 21 კალენდარული დღის განმავლობაში ხდება, ხოლო ასანაზღაურებელი თანხა ლიმიტირებულია ამანათში მოთავსებული ნივთის ღირებულებით.

მოვაჭრის განმარტებით, კომპანია მომხმარებლისთვის ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულების პირობებით, კერძოდ, სავალდებულო დამატებითი უსაფრთხოების წესების შესაბამისად. ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამანათის დაზიანებაში ბრალი მიუძღვის მოვაჭრეს ან მის დამხმარეს. უსაფრთხოების მომსახურება წარმოშობს მხარეთა შორის შეთანხმებული პროვიზიის ანუ საფასურის გადახდის ვალდებულებას. მოვაჭრის განმარტებით, მომხმარებლის მიერ გადახდილი უსაფრთხოების საფასური ექსპედიტორის მიერ გადაიხდება აშშ-ში ამანათების გამომგზავნი კომპანიისთვის, რომელიც აზღვევს ყოველი ავიარების გამოსაგზავნ ამანათებს, დაკარგვის, განადგურების, დაზიანების შემთხვევებზე. ასევე, ამანათის გადაადგილებისას შესაძლო შეფერხების, ყუთებში ჩალაგების, შენახვის, მოცდის და სხვა მომსახურებისთვის, რომელიც მის მიერ იქნება გაწეული ადგილზე. ამანათების გამომგზავნი ამერიკული კომპანია გამოსაგზავნ ამანათებთან ერთად პერიოდულად აგზავნის ინვოისს, გადასახდელი თანხების შესახებ, რომლის გადახდაც ხორციელდება მოვაჭრის მიერ.

ამანათის ტრანსპორტირებისას მისი დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში ამერიკული გამომგზავნი კომპანია მიმართავს მის კონტრაქტორ სადაზღვევო კომპანიას, დაკარგული, განადგურებული, დაზიანებული ამანათის საინვოისო ღირებულების, როგორც ზარალის ანაზღაურების შესახებ. საბოლოოდ ამერიკული სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებული თანხით მოხდება საბოლოო მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სააგენტომ 2023 წლის 7 აგვისტოს N02/2118 წერილით მოვაჭრისგან გამოითხოვა დაზუსტებული პოზიცია განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ: მოვაჭრის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის 29 ივნისის N01/2161 წერილში მითითებულია, რომ უსაფრთხოების მომსახურება აქტიურია ყველა ამანათთან მიმართებაში, რომლის ტრანსპორტირებასაც ახორციელებს ექსპედიტორი და არა რომელიმე კონკრეტულ ნივთთან მიმართებაში. მოვაჭრეს ეთხოვა განემარტა, სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს ექნება თუ არა შესაძლებლობა, უარი თქვას დამატებითი უსაფრთხოების მომსახურებაზე და ისე ისარგებლოს მოვაჭრის მომსახურებით.

სააგენტომ 2023 წლის 16 ნოემბრის N02/3378 წერილით მოვაჭრისგან გამოითხოვა ინფორმაცია იმ საერთაშორისო საექსპედიტორო წესების შესაბამისი მუხლ(ებ)ის შესახებ, რომელიც USA2GEORGIA-ს ავალდებულებს თავის წესებსა და პირობებში გაითვალისწინოს უსაფრთხოების სავალდებულო დამატებითი მომსახურება. აღნიშნული წერილის პასუხად, მოვაჭრემ 2023 წლის 22 ნოემბრის N01/3978 წერილით წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია. მოვაჭრე განმარტავს, რომ ამანათების ტრანსპორტირებისას ექსპედიტორი კომპანიის ოპერაციები ეფუძნება მონრეალისა და ვარშავის კონვენციებს, რომელიც საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტირებას არეგულირებს და ავიაკომპანიების, საექსპედიტორო და გადაზიდვის კომპანიების პასუხისმგებლობას ადგენს. მოვაჭრის განმარტებით საქართველო არის აღნიშნული კონვენციების ხელმომწერი ქვეყანა.¹

¹ https://www.icao.int/secretariat/legal/List%20of%20Parties/Mt199_EN.pdf

აღნიშნული კონვენციები გადამზიდველი კომპანიის პასუხისმგებლობაზე ადგენს რიგ შეზღუდვებს, რომლის შესრულება კომპანიების მიერ სავალდებულოა და იგი მოიცავს ისეთ დამატებით ზომებს, როგორიცაა ტვირთის უსაფრთხოდ გადაზიდვა, ტვირთების ღირებულების სრული დაფარვის უზრუნველსაყოფად. კერძოდ,

- 1999 წლის მონრეალის კონვენცია (MC 99) გადამწყვეტი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ადგენს ავიაკომპანიის პასუხისმგებლობას - დაგვიანების, დაზიანების ან ბარგისა და ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში. იგი აერთიანებს ავიაკომპანიის პასუხისმგებლობის სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების რეჟიმებს 1929 წლიდან, რაც ქმნის ავიაკომპანიის პასუხისმგებლობის უნივერსალურ ჩარჩოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

- მონრეალის კონვენცია ადგენს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის გარკვეულ წესებს (მუხლი 22). კერძოდ, კონვენცია ასახავს ავიაკომპანიების პასუხისმგებლობის ასპექტებს ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში. ეს კონვენცია ადგენს პასუხისმგებლობის ლიმიტს ავიაკომპანიების მიერ დაკარგული ან დაზიანებული ტვირთის შემთხვევაში. ლიმიტი ეფუძნება განაკვეთს ტვირთის წონის თითო კილოგრამზე. ბოლო განახლებით დაწესდა ლიმიტი 22 სპეციალური ერთეული (XDR) კილოგრამზე. XDR ერთეული დადგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ. 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 1 XDR უდრის 3.59 ლარს.²

ანუ, ავია გადამზიდები (მაგ. ავიაკომპანიები: Turkish Airlines, Lufthansa, Cargolux, MNG Cargo და ა.შ.), რომელთა გადაზიდვის მომსახურებითაც USA2GEORGIA სარგებლობს, როგორც ექსპედიტორი კომპანია, ვალდებული არიან ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში 1კგ-ზე 22 XDR ერთეულით ანაზღაურებაზე, ტვირთის ფასის მიუხედავად და ანაზღაურების ოდენობა ლიმიტირებულია მხოლოდ წონით.

მოვაჭრე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ავია ინდუსტრიის სხვა სტანდარტებზე - IATA-ს და FIATA-ს დებულებებზე.

კომპანიის ინფორმაციით, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) სტანდარტების შესაბამისად, კომპანია USA2GEORGIA მიჰყვება საუკეთესო პრაქტიკას საჰაერო გადაზიდვებისთვის, უსაფრთხოებისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სატვირთო გადამზიდავთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIATA) აყალიბებს მითითებებს, რომლებიც ტვირთის გადაზიდვის ადეკვატური დაზღვევის მნიშვნელობას აძლიერებს. ეს დებულებები ადასტურებს დამატებითი დაზღვევის აუცილებლობას ტვირთის გადაზიდვისას, განსაკუთრებით კი - ძვირადღირებული ტვირთის შემთხვევაში. ის ხაზს უსვამს ექსპედიტორის როლს ზიანის სრული დაფარვის უზრუნველსაყოფად, ავიაკომპანიების და ავიაგადამზიდველების შეზღუდული პასუხისმგებლობის არსებობის მიუხედავად.³

² <https://www.xe.com/currencyconverter/convert/?Amount=1&From=XDR&To=GEL>

³ FIATA-ს მოდელის წესები სატვირთო გადაზიდვის მომსახურებისთვის - https://fiata.cdn.prismic.io/fiata/f0fd7596-7861-42f6-bfa3-157ffb3d0aaf_FIATA_Model_Rules_for_Freight_Forwarding_Services_2019.pdf

ეს დებულებები ექსპედიტორებისთვის დაზღვევის შეთავაზების საშუალებას იძლევა, როგორც დამატებითი ღირებულების სერვისი, რაც უზრუნველყოფს ტვირთების ადეკვატურად დაცვას, განსაკუთრებით მაღალი ღირებულების ტვირთის გადატანისას.⁴

მოვაჭრის განმარტებით ყველა ექსპედიტორი, რომელიც FIATA-ს მულტიმოდალური ტრანსპორტის ზედნაღებს (FBL) გამოსცემს, ვალდებულია, ჰქონდეს მოქმედი პასუხისმგებლობის დაზღვევა FBL-ის წესებისა და პირობების⁵ შესაბამისად. **ეს დაზღვევა გადამწყვეტია როგორც FBL-ის, ისე საექსპედიტორო ბიზნესის მთლიანობისა და რეპუტაციის დასაცავად და ასახავს ექსპედიტორის უნარს, უბედური შემთხვევის დროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეასრულოს.**

FIATA-ს დოკუმენტი განმარტავს, რომ ტვირთის ექსპედიტორების პასუხისმგებლობის დაზღვევა შექმნილია მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვრამდე დასაცავად, ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორებიცაა: კონტრაქტები, კონვენციები ან FBL-ის პირობები.

FIATA-ს დოკუმენტიდან აღნიშნული პუნქტები ადასტურებენ, რომ ექსპედიტორებს აქვთ უფლება და ვალდებულება, დააწესონ ადეკვატური პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის შესაბამისი საზღაურის მოსაკრებელი. ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებით დაზღვევას შესაბამისი ღირებულების ტვირთისთვის, როგორც მათი, ასევე მომხმარებლების ინტერესების დასაცავად.

ამდენად, კომპანიის პოზიციით, ექსპედიტორი კომპანია USA2GEORGIA-ს პასუხისმგებლობის ნაწილია ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული რისკების მართვა. უსაფრთხოების მოსაკრებელი კი, როგორც დაზღვევის ალტერნატივა კრიტიკული ინსტრუმენტია, რაც ტვირთის სრული ღირებულების დაფარვას უზრუნველყოფს აშშ-ს საწყობში ტვირთის მიღების შემთხვევაში მისი საქართველოში ტრანსპორტირების ჩათვლით. აღნიშნული იცავს მომხმარებლების ინტერესებს და კომპანია USA2GEORGIA-ს სერვისის მთლიანობას.

მოვაჭრის მტკიცებით, USA2GEORGIA ვალდებულია, იხელმძღვანელოს საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი წესებით, განსაკუთრებით მონრეალის 1999 წლის კონვენციით, რომელიც აწესებს ავიაკომპანიების პასუხისმგებლობას, დაკარგული ან დაზიანებული ტვირთისთვის. **აღნიშნული რეგულაციები USA2GEORGIA-ს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ამ უკანასკნელმა დამატებითი ზომები ეძიოს მომხმარებლების დასაცავად.** ამიტომ, მოვაჭრის განმარტებით, მისი სავალდებულო უსაფრთხოების სერვისი საქმიანი აუცილებლობაა. ის შეესაბამება FIATA-ს მითითებებსა და მოთხოვნებს ავტორიტეტული წყაროებიდან. FIATA როგორც აღიარებული გლობალური ორგანო, ადგენს სტანდარტებს, რაც საერთაშორისო გადაზიდვებისთვის აუცილებელია. FIATA-ს მითითებების დაცვა არის კანონიერი მოთხოვნა სატვირთო გადაზიდვების ინდუსტრიაში გლობალური საქმიანობისთვის. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს მომხმარებელთა ძვირადღირებული ტვირთების დაცვას და აგრეთვე, იცავს კომპანიის სერვისების მთლიანობას საერთაშორისო ლოგისტიკის ლანდშაფტში.

⁴ FIATA-ს სახელმძღვანელო, პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ - [https://www.flipsnack.com/fiata/lig_2023/full-view.html#:~:text=URL%3A%20https%3A%2F%2Fwww.flipsnack.com%2Ffiata%2Flig_2023%](https://www.flipsnack.com/fiata/lig_2023/full-view.html#:~:text=URL%3A%20https%3A%2F%2Fwww.flipsnack.com%2Ffiata%2Flig_2023%2F)

⁵ Standard Conditions (1992) governing the FIATA MULTIMODAL TRANSPORT BILL OF LADING - <https://dgtr.de/wp-content/uploads/FBL.pdf>

სააგენტომ მოვაჭრისგან 2024 წლის 5 ივლისის N02/2517 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია რ---ნ კ----ის განცხადებაში დაფიქსირებულ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილზე პასუხად, მოვაჭრემ 2024 წლის 10 ივლისის N01/3485 წერილით განმარტა, რომ დამატებითი უსაფრთხოების საფასური წარმოადგენს, ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, მომხმარებელთან შეთანხმებულ საზღაურს. მომხმარებელი წინასწარ იყო ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ, ამიტომ მისი პრეტენზია უსაფუძვლოა.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა.

კანონის 21-ე მუხლის თანახმად:

1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის დადგენილი, წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მომხმარებელს ჰქონდა.
2. იმის მტკიცების ტვირთი, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობა მხარეებმა ინდივიდუალურად შეათანხმეს, მოვაჭრეს ეკისრება.
3. მომხმარებლისთვის წერილობითი ფორმით შეთავაზებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული. პირობა, რომელიც მისი ორაზროვნად განმარტების საშუალებას იძლევა, მომხმარებლის სასარგებლოდ განიმარტება.

ხოლო, კანონის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად

1. ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი არსებობისა, ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ, მათ შორის, მისი ბუნდოვანების გამო. მხოლოდ ხელშეკრულების საგნის რაობა ან მისი საპასუხო შესრულებასთან შესაბამისობა არ მიიჩნევა შეუსაბამობად.

2. ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უსამართლობის შეფასებისას გაითვალისწინება ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების დადების დროს არსებული გარემოებები, რომლებმაც ხელშეკრულებაში ამ პირობის არსებობა განაპირობა, და ხელშეკრულების სხვა პირობები. აღნიშნული პირობის უსამართლობის შეფასებისას არ გაითვალისწინება არც ხელშეკრულების ძირითადი საგნის არსი და არც ფასისა და ანაზღაურების მისაწოდებელ საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობა.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა N93/13/EEC სამომხმარებლო ხელშეკრულების უსამართლო პირობების შესახებ (შემდგომში - N93/13/EEC დირექტივა) მიზნად ისახავს გამყიდველის ან მიმწოდებლისა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების უსამართლო პირობებთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოებას. ასევე, მისი მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის შიდა ბაზრის განვითარებას მომხმარებელთა იმ სამართლებრივი და ეკონომიკური რისკებისგან დაცვის მიზნით, რომელიც შემთავაზებელმა, როგორც უკეთ ინფორმირებულმა და ბაზრის უფრო ძლიერმა მოთამაშემ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით ხელშეკრულების უფრო „სუსტ მხარესთან“ შეიძლება გადაამისამართოს.⁶

N93/13/EEC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ არის შეთანხმებული, ითვლება უსამართლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კეთილსინდისიერების მოთხოვნების საპირისპიროდ, ის, მომხმარებლის საზიანოდ, იწვევს მნიშვნელოვან შესაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებისა და ვალდებულებებში.

N93/13/EEC დირექტივის მე-3 მუხლითა და დანართით განსაზღვრული იმ პირობათა შინაარსი, რომლებიც შესაძლოა უსამართლოდ იქნეს მიჩნეული.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

⁶ ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, 2018 წელი, თბილისი, გვ. 40.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

3.1 მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესი

პროცედურის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო იწყებს მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლას, თუ მას აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მოვაჭრის ქმედებ(ებ)ის შედეგად ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს მომხმარებელთა ჯგუფის უფლება და მათ ინტერესს ადგება ან შესაძლოა მიაღგეს ზიანი.

პროცედურის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. ამ შემთხვევაში სააგენტო ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ.

განსახილველ შემთხვევაში, სანამ სააგენტო უშუალოდ საკითხის შეფასებაზე გადავა, ყურადღებას გაამახვილებს მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესის არსებობაზე.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცვათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.

ფრანგული პრაქტიკა ევროკავშირის კანონმდებელმაც გაიზიარა. მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესის განმარტება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/22/EC დირექტივაში „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ“ აისახა. დირექტივის პრეამბულის მესამე აბზაცში შემოთავაზებულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ნეგატიური განმარტება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი არ გულისხმობს იმ მომხმარებელთა ინტერესების ერთობლიობას, რომელთაც დარღვევის შედეგად ზიანი მიაღგათ.

მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ნეგატიური განმარტება შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2020/1828 დირექტივით „მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი საქმიანობისა და 2009/22/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“, რომელიც 2009/22/EC დირექტივას აუქმებს. (EU) 2020/1828 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ამომწურავ განმარტებას არ შეიცავს, ზემოაღნიშნული დეფინიციები ამკარას ხდის იმ გარემოებას, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი ნაკლებად არის დაკავშირებული ინდივიდუალურ ზიანთან და მის შესაბამისად კომპენსაციის მოთხოვნასთან. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი ჯგუფს როგორც ერთ მთლიანობას ეხება და მის დასაცავად გამოყენებული ინსტრუმენტები პრევენციასა და შეკავებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

განსახილველ საქმეში სააგენტოს მიერ შესაფასებელია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების კონკრეტული პირობები და თავად მოვაჭრის ქმედება ვალდებულების (მომსახურების) ჯეროვნად შესრულების ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმარტება ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ცნება, კერძოდ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის დადგენილი, წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მომხმარებელს ჰქონდა.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ემსახურება სახელშეკრულებო მოლაპარაკების გამარტივებას, ის ზოგავს დროსა და რესურსს. ხელშეკრულების სტანდარტული პირობებები ხასიათდება იმ თავისებურებით, რომ ის არის წინასწარ განსაზღვრული, მრავალჯერადი გამოყენების მიზნით შექმნილი.

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №ას-1029-2023 განჩინება. აღნიშნულ განჩინებაში განმარტებულია, რომ თავდაპირველად შესამოწმებელია ხელშეკრულების პირობა არის თუ არა სტანდარტული.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 6 ოქტომბრის №ას-372-2023 გადაწყვეტილებაში განმარტა ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ცნება. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის წინასწარ ჩამოყალიბებული. განმარტების თანახმად, ასეთი პირობებები არ არის ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანი და მას ყველა მომხმარებელს სტანდარტულად სთავაზობენ. გადაწყვეტილებაში, ასევე აღნიშნულია, რომ სტანდარტული პირობა არის მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული, რაც იმას გულისხმობს, რომ ის არ არის გამიზნული ერთი ან რამდენიმე პირთან სახელშეკრულებო ბოჭვის ჩამოსაყალიბებლად, არამედ ის ყველა მომხმარებლისთვის საერთოა. სასამართლო, აქვე დასძენს, რომ მრავალჯერადი გამოყენებადობა არ გულისხმობს იმას, რომ შემთავაზებელის მიერ განსაზღვრული პირობა აუცილებლად მრავალჯერადად უნდა

იქნეს გამოყენებული, იმისთვის, რომ ის სტანდარტულად იქცეს, არამედ სასამართლოს მითითებით ხელშეკრულების პირობა სტანდარტულია, თუკი ის ჩამოყალიბებულია იმ ფორმით, რომ იძლევა მისი მრავალჯერადად გამოყენების შესაძლებლობას. „[...]პირობა ისეთი ფორმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს არაერთჯერადად, ნებისმიერი მომხმარებლის მიმართ.“

აღსანიშნავია, ასევე, დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით. დოქტრინის თანახმად, პირობები წინასწარ არის ჩამოყალიბებული, თუკი ის წერილობით ან სხვა იმგვარი ფორმით არის გამოხატული, რომ იძლევა მისი მრავალჯერადად გამოყენების შესაძლებლობას. (ავტორები უთითებენ, რომ აღნიშნული გამოხატულება შეიძლება იყოს ვიდეო - ან აუდიოჩანაწერი).

დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულება მრავალჯერადად გამოყენებისთვის გამიზნულობის დასადგენად საჭიროა, შემთავაზებლის სუბიექტური ნების არსებობა, განზრახვა - გამოიყენოს პირობა მრავალჯერადად.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მოვაჭრესა და მომხმარებლებს შორის იდება ხელშეკრულება ამანათის საზღვარგარეთიდან საქართველოში ტრანსპორტირების შესახებ. საქმეში არსებული ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ მოვაჭრის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები წინასწარ არის ჩამოყალიბებული. მას თითოეული მომხმარებელი და მოვაჭრე ერთად არ აყალიბებენ. ისინი მოვაჭრის მიერ არის განსაზღვრული და მომხმარებელთან შეთანხმებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, აღნიშნული ხელშეკრულებით და მასში მოცემული პირობებით, მოვაჭრე მიზნად ისახავს ისინი მრავალჯერადად, თითოეული მომხმარებლისთვის იყოს გამოყენებული. მოვაჭრის მიერ ჩამოყალიბებული პირობები მათი შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მრავალჯერადად იქნება გამოყენებული სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ მიერ. გამომდინარე აქედან, მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკაში მოცემული პირობები სტანდარტული პირობების კანონით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, შესაბამისად, ისინი მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პირობები, ფაქტობრივად, წარმოადგენს მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკას და მან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესებზე.

3.2 უსამართლო სტანდარტული პირობები

უსამართლო სტანდარტული პირობის, კერძოდ, კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ქრილში უნდა შეფასდეს ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულების 8.1 და 8.8 პუნქტები, რომელთაგანაც აქტიურად ეყრდნობა მოვაჭრე მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის გამოთვლის დროს. აღნიშნული პუნქტების თანახმად,

„8.1 უსაფრთხოების სავალდებულო დამატებითი მომსახურება გულისხმობს, საერთაშორისო საექსპედიტორო მომსახურების გაწევის ეტაპზე, კერძოდ ექსპედიტორის ამერიკის, თურქეთის ან/და ჩინეთის საწყობიდან, ზედდებულის დანიშნულების პუნქტამდე, ამანათის გარეგანი

დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის, მის მიერ ამანათის დეკლარირებული თანხის ანაზღაურებას. მომსახურებაში არ შედის ამანათში არსებული პროდუქციის შემოწმება დაზიანებაზე ან მუშაობის ვარგისიანობაზე.“

“8.8 ამანათებზე დამატებითი მომსახურება გააქტიურდება ავტომატურად, სავალდებულო წესით, ამანათის უსაფრთხოების მომსახურების მოთხოვნებიდან გამომდინარე. 100 ლარამდე - 1 ლარი, 100-დან 200 ლარამდე - 2 ლარი, 200-დან 300 ლარამდე - 3 ლარი. 300 ლარიდან 3000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 2%-ს, 3000 ლარიდან 10,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 4%-ს, 10,000 ლარიდან 20,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 8%-ს, 20,000 ლარი ან მეტი ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურების ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 12%-ს. უსაფრთხოების მომსახურების თანხას მომხმარებელი იხდის საექსპედიტორო გადაზიდვის ღირებულებასთან ერთად.”

იმის დასადგენად, თუ რამდენად არის აღნიშნული პირობები უსამართლო, იგი უნდა შეფასდეს კანონის 22-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში. კანონის აღნიშნული პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი არსებობისა, ბათილია, თუ იგი **ენინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ**, მათ შორის, მისი ბუნდოვანების გამო. მხოლოდ ხელშეკრულების საგნის რაობა ან მისი საპასუხო შესრულებასთან შესაბამისობა არ მიიჩნევა შეუსაბამობად.

აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის მიხედვით, იმისთვის, რომ ხელშეკრულების პირობა უსამართლოდ იქნეს მიჩნეული, საჭიროა, რომ: I ენინააღმდეგებოდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს; II იწვევდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №ას-1029-2023 განჩინებაში, აღნიშნულია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანხმადაც, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებთან მიმართებით, აღიარებულია „სუსტი“ და „ძლიერი“ მხარის არსებობა სახელშეკრულებო ურთიერთობისას. კანონმდებლობით კი ხდება „სუსტი“ მხარის ინტერესების დაცვა.

მოვაჭრეს საქმიანობის თავისებურება აქცევს, ხელშეკრულების ძლიერ მხარედ, მისთვის ვაჭრობა წარმოადგენს ჩვეულებრივ, სახასიათო საქმიანობას. სამომხმარებლო ურთიერთობებში, მოვაჭრე არის ხელშეკრულების პირობებისა და ბუნების განმსაზღვრელი. „მოვაჭრე, როგორც წესი, აკონტროლებს ხელშეკრულების პირობების უმეტესობას, თუ ყველას არა, სტანდარტული პირობების დადგენით, სადაც მომხმარებლის არჩევანი შეზღუდულია ამ პირობების მიღებით ან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმით“.⁷

⁷ ლაკერბაია თ., „მომხმარებლის ცნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში“, ჟურნალი „ორბელიანი“, 2021, 75.

ხსენებული მიზნით აღსანიშნავია ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - მართლმსაჯულების სასამართლო) 2017 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე C-421/14. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ევროპარლამენტისა და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა N93/13/EEC ეფუძნება იმ იდეას, რომ სახელმეკრულებო ურთიერთობებში მომხმარებელი არის ხელმეკრულების სუსტი მხარე მოვაჭრესთან მიმართებით მისი ცოდნისა და სავაჭრო ძალაუფლების გათვალისწინებით.⁸

მართლმსაჯულების სასამართლომ C-421/14⁹ საქმეში განმარტა, რომ ზოგადად, უსამართლო სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი დირექტივის მიზანია სახელმეკრულებო მხარეთა ეფექტური ბალანსის დაცვა, რაც მიიღწევა ხელმეკრულებიდან უსამართლო სტანდარტული პირობების ამოღებით.

ხელმეკრულების კონკრეტული პირობების შეფასებამდე, სააგენტო მიმოიხილავს კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპებს და მნიშვნელოვანი დისბალანსის ცნებას.

კეთილსინდისიერების პრინციპი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. პრინციპი *bona fides* (კეთილსინდისიერება) მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა *ius civile*-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. *bona fides* (*fides*) ტერმინის საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები თავიანთ პირობას და მიცემულ სიტყვას დაიცავდნენ (*bona fides negotia*), წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა, წარედგინა *ex fide bona* პრეტენზია და კონტრაჰენტისაგან ვალდებულების იძულებით აღსრულება *exceptio doli (generalis)* - სარჩელის საფუძველზე მოეთხოვა.¹⁰

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

კეთილსინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელმეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა.¹¹ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგება შესაძლოა ფორმალურად გამართული ჩანდეს, მაგრამ მისი შინაარსი იმდენად კაბალურია, რომ შეუძლებელია მას სამართლიანი ეწოდოს.¹²

დამატებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის Nას-812-2022 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს კონტრაჰენტთა

⁸ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება 2017 წლის 26 იანვრის საქმე C-421/14.

⁹ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე C-421/14.

¹⁰ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1, გვ. 16

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის განჩინება სამოქალაქო საქმეზე Nას-1185-2020

¹² „...im gegebenen Falle also nur die form, nicht das wesen des rechtes hätte.“ Dernburg, Pandekten, Band I, 1: Allgemeiner Theil, 1900 § 138, 320. მითითებულია კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, გვ. 84

უფლებებისადმი ურთიერთპატივისცემას.¹³ ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს: *საკაცთა კალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. კერძოდ, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.*¹⁴

მართლმსაჯულების სასამართლომ **Mohamed Aziz**¹⁵-ის საქმეში განმარტა, რომ არის თუ არა სახეზე მომხმარებლისთვის საზიანოდ უფლება-მოვალეობათა „მნიშვნელოვანი უთანასწორობა“, უნდა შეფასდეს შიდა კანონმდებლობის იმ ნორმათა ანალიზის ფონზე, რომელსაც მხარეთა ურთიერთობა დაექვემდებარებოდა სადავო პირობის არარსებობის შემთხვევაში. ამასთანავე უნდა შეფასდეს მომხმარებლის სამართლებრივი პოზიციები და ის სამართლებრივი საშუალებები, რომელიც მას შიდა კანონმდებლობით ეძლევა არასამართლიანი პირობებისგან თავის დასაცავად. ამასთანავე, იმის შესაფასებლად არის თუ არა უთანასწორობა „კეთილსინდისიერების მოთხოვნათა საწინააღმდეგო“.

„კეთილსინდისიერება“ განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველმყოფ კატეგორიას. შესაბამისად, მისი მნიშვნელობა ძალზე ფართოა. კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით.¹⁶

კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (International Institute for the Unification of Private Law - UNIDROIT) მიერ შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (Principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლშიც, კერძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება.“ აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერება „უნიდროას“ პრინციპებში განიხილება არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების, არამედ სახელმწიფოებო სამართლის ზოგად პრინციპადაც.¹⁷

რაც შეეხება მნიშვნელოვან დისბალანსს, 1993/13/EC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს შორის „მნიშვნელოვან დისბალანსზე“ (significant imbalance), რაც იმას ნიშნავს, რომ პირობის შეფასებისას მცირე

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №ს-812-2022

¹⁴ იქვე.

¹⁵ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, C-415/11.

¹⁶ Towards a European Civil Code, by Hartkamp/Hesselink/Hondius/Perron/Vranken, Nijmegen, Dordrecht, Boston, London, 1994. გვ. 205-209.

¹⁷ Lando, A Vision of a Future Contract Law: impact of European and UNIDROIT Contract Principles, Uniform Commercial Code Law Journal, issue 2, Fall 2004, გვ. 3-46.

დისბალანსი მხედველობაში არ მიიღება. მართლმსაჯულების სასამართლომ *Banco Primus-ის* საქმეში იმსჯელა, რომ იმის დასადგენად, იწვევს თუ არა პირობა „მნიშვნელოვან დისბალანსს“ უნდა შეფასდეს მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, აყენებს თუ არა კონკრეტული პირობა მომხმარებელს არახელსაყრელ სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაში, მომხმარებლისთვის დამდგარი ფინანსური დანაკარგის მოცულობა და სხვა.¹⁸

სააგენტო განმარტავს, რომ ხელშეკრულების 8.1 და 8.8 პირობები არ შეესაბამება კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპებს, ასევე, იგი იწვევს მნიშვნელოვან დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ, შესაბამისად აღნიშნული პირობები წარმოადგენს უსამართლო სტანდარტულ პირობებს, შემდეგი გარემოებათა გამო:

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, თუ რისი გათვალისწინებით უნდა იქნას ხელშეკრულების სტანდარტული პირობა მიჩნეული უსამართლოდ. კერძოდ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უსამართლობის შეფასებისას გაითვალისწინება ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების დადების დროს არსებული გარემოებები, რომლებმაც ხელშეკრულებაში ამ პირობის არსებობა განაპირობა, და ხელშეკრულების სხვა პირობები. აღნიშნული პირობის უსამართლობის შეფასებისას არ გაითვალისწინება არც ხელშეკრულების ძირითადი საგნის არსი და არც ფასისა და ანაზღაურების მისაწოდებელ საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობა.

ხელშეკრულება წარმოადგენს გარიგების ერთ-ერთ ფორმას, რომლითაც, მხარეები, შემხვედრი ნების საფუძველზე, ნებაყოფლობით იბოჭავენ თავს ურთიერთვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესასრულებლად. განსახილველ შემთხვევაში სადავო სტანდარტული პირობა არის მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ნაწილი. აღნიშნული ხელშეკრულებით, მომხმარებელი კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს მოვაჭრის მიერ განსაზღვრული საფასური, ხოლო მეორე მხრივ მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, შეასრულოს მომხმარებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულება: უცხოეთში შეიძინოს და საქართველოში ჩამოიყვანს მომხმარებლისთვის სასურველი საქონელი. ამდენად აღნიშნული ხელშეკრულება არის სინალაგმატური (ორმხრივ მავალდებულებელი). ნდობის, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების გამოვლინებაა ის, რომ თუკი ვალდებულება არაჯეროვნად, ნაკლიანად შესრულდა, მოვალე ვალდებულია გამოასწოროს შესრულება (თუკი ეს შესაძლებელია), ვინაიდან ხელშეკრულებაში შესვლისას მხარეს ჰქონდა მოლოდინი, რომ მიიღებდა იმ შესრულებას, რაც შეთანხმებული იყო. **აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოვაჭრე მომხმარებელს უწესებს კონკრეტულ თანხას (თუ ამანათის ღირებულება არის 100 ლარამდე - 1 ლარი, 100-დან 200 ლარამდე - 2 ლარი, 200-დან 300 ლარამდე - 3 ლარი. 300 ლარიდან 3000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურეობის ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 2%-ს, 3000 ლარიდან 10,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურეობის ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 4%-ს, 10,000 ლარიდან 20,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურეობის ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 8%-ს, 20,000 ლარი ან მეტი ღირებულების შემთხვევაში, უსაფრთხოების მომსახურეობის ღირებულება შეადგენს ამანათის დეკლარირებული თანხის 12%-ს), რომლითაც იგი ფარავს თავისი პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის სადაზღვევო კომპანიისთვის გადასახდელი პრემიის თანხას.**

¹⁸ CJEU, C-421/14, Banco Primus, პარ. 59

ფაქტობრივად, აღნიშნული ქმედებით, მოვაჭრე იხსნის მისთვის კანონით დაკისრებულ პასუხისმგებლობას იმის შესახებ, რომ როგორც შემსრულებელი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება და თუ არ შეასრულებს თავად ანაზღაუროს მიყენებული ზარალი, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მოვაჭრე არ იღებს შესრულებაზე არანაირ ვალდებულებას და მომხმარებელი თავად აღიდგენს თავის დარღვეულ უფლებას იმ შემთხვევაში თუ ამანათს ტრანსპორტირებისას მას აღნიშნება გარეგანი დაზიანება ან დაიკარგა.

სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სავაჭრო პოლიტიკის 8.8 პუნქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოსაკრებლის გადახდა ნებისმიერი მომხმარებლისთვის სავალდებულოა, რადგან აღნიშნული პუნქტის თანახმად ამანათებზე დამატებითი მომსახურება გააქტიურდება ავტომატურად, აღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ მომხმარებელს არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა, რომ თვითონ გადაწყვიტოს სურს თუ არა დაზღვევის გამოყენება და დამატებითი საფასურის გადახდა, რაც თავის მხრივ მომხმარებლის ნების შეზღუდვას წარმოადგენს, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ იგი საერთოდ არ უნდა იხდიდეს აღნიშნულ თანხას. **ზემოაღნიშნული ხაზს უსვამ იმას, რომ დამატებითი უსაფრთხოების მოსაკრებლის გადახდა, ალტერნატივის გარეშე, უწევთ იმ მომხმარებლებსაც, ვისი ამანათიც ჩამოვიდა უნაკლო მდგომარეობაში და მოვაჭრეს არ მოუწია არანაირი ზიანის ანაზღაურება, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს.**

აუცილებლად უნდა განიმარტოს, რომ მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულება თავისი ბუნებით არის კერძო სამართლებრივი ხასიათის. კერძო სამართლებრივი ურთიერთობისას მხარეებს თავისუფალი ნების საფუძველზე შეუძლიათ განსაზღვრონ ნებისმიერი ის პირობა, რომელიც არ არის კანონშესაბამო. აღნიშნულს განამტკიცებს საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 319-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება. (კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი). მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, რიგ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების გამორიცხვაც კი დაიშვება. თუმცა, სტანდარტული პირობების არსებობისას ხელშეკრულების თავისუფლების ხარისხი იზღუდება. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2022 წლის 5 ოქტომბრის *ნას-812-2022* გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსებობისას, სახელშეკრულებო თავისუფლება იმ ხარისხით არ გამოვლინდება რა დოზითაც ჩვეულებრივ შემთხვევაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, *„შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართლის პრინციპი: რაც კანონით აკრძალული არაა, ყველაფერი დაშვებულია, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისას შეზღუდული სახით გამოიყენება, რაც შინაარსის კონტროლის აუცილებლობასა და მისი არსებობის ფარგლებს განამტკიცებს.“*¹⁹ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ასეთი ბუნება განაპირობებს იმას, რომ „სამოქალაქო კოდექსში“ ცალკე, მესამე თავით, რეგულირდება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობები და 344, 346, 347, 348-ე მუხლები რიგი პირობების ბათილობასაც ითვალისწინებს. სტანდარტული პირობების არსებობისას ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე მოკლებულია უნარს საკუთარი შეხედულებით ჩამოაყალიბოს ან შეცვალოს გარიგების პირობები. სწორედ ამიტომ ისეთი პირობები, რომელიც კონტრაქტს ართმევს

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის *ნას-812-2022*.

კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებას შეიძლება იყოს ბათილი, რადგან მას არ ჰქონია შესაძლებლობა განესაზღვრა სხვა პირობა. სტანდარტული პირობების განსაზღვრისას, ხელშეკრულების „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარის თავისუფლების ხარისხი იზღუდება, „სუსტი“ მხარის სასარგებლოდ, რათა არ იქნას ხელყოფილი მისი ინტერესები.

სამომხმარებლო ურთიერთობა წარმოადგენს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სახეს და ის სპეციფიკურად აწესრიგებს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხელშეკრულების „ძლიერ“ მხარეს კიდევ უფრო მეტ გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებას აკისრებს მომხმარებელთან მიმართ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით ორივე საკანონმდებლო აქტი ერთ მიზანს ემსახურება - ხელშეკრულების „სუსტი“ მხარის - მოცემულ შემთხვევაში, მომხმარებლის დაცვას.

გულისხმიერება კონტრაქტებს ავალდებულებს ერთმანეთის მიმართ იყვნენ სანდონი, აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ მათ განახორციელონ ყველა ქმედება იმ ფორმით, ხარისხითა და მოცულობით, რასაც მეორე მხარე გონივრული მოლოდინით ელოდება. ნდობის ჩამოყალიბებაში მრავალმა ფაქტორმა შეიძლება იქონიოს გავლენა, თუმცა ის არსებობს მხოლოდ მაშინ, თუკი აღნიშნული განპირობებულია, იმგვარი კრიტერიუმებით, რასაც ნამდვილად შეეძლო ნდობის წარმოშობა. მოცემულ შემთხვევაში, მოვაჭრე წარმოადგენს გადაშინდველ კომპანიას, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია ოპერირებს ქართულ ბაზარზე (იხ. <https://www.usa2georgia.com/>). ამდენად, მომხმარებელს გონივრულად აქვს ნდობა მოვაჭრის, როგორც გამოცდილი და სანდო კონტრაქტისადმი, რომ ის მომსახურებას ჯეროვნად შეასრულებს და თუკი აღნიშნული ვერ მოხერხდა, მაშინ, შეასრულებს რა იმ ვალდებულებას, რაც ურთიერთნდობაზე და კეთილსინდისიერებაზე დამყარებული ურთიერთობების ფარგლებში მხარეს აკისრია, შემდგომი მოქმედებით გამოასწორობს ნაკლს. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მოვაჭრე, როგორც ხელშეკრულების ძლიერი მხარე ვალდებულია გაითვალისწინოს მომხმარებლის ინტერესები და ის გონივრული მოლოდინი, რაც მას აქვს. **ამასთან გასათვალისწინებელია ხელშეკრულების საგანი, მომხმარებლის მიერ შექმნილი ამანათების ტრანსპორტირება აშშ-დან, თურქეთიდან და ჩინეთიდან. როდესაც ხდება მომხმარებლისთვის აღნიშნული მომსახურების შეთავაზება, ჩვეულებრივ შემთხვევაში მომხმარებელს გონივრულად უჩნდება მოლოდინი, იმისა, რომ ერთი მხრივ მომსახურება ჯეროვნად იქნება შესრულებული და მეორე მხრივ, მოვაჭრე აიღებს რა პასუხისმგებლობას მის მიერ გამოწვეულ ნაკლთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის მიხედვით და მას არ მოუწევს დამატებითი მოსაკრებლის გადახდა არც გაცნობიერებულად და არც გაუცნობიერებულად.**

ევროპარალამენტისა და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივის N93/13/EEC მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ არის შეთანხმებული, ითვლება უსამართლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კეთილსინდისიერების მოთხოვნების საპირისპიროდ, ის, მომხმარებლის საზიანოდ, იწვევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებში.

მოვაჭრე ვალდებულია, მომხმარებელს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მომსახურება. **მოცემულ შემთხვევაში მოვაჭრე კისრულობს ვალდებულებას მომხმარებელს ჩამოუტანოს ამანათი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის მოვაჭრეს ჩაბარდა საზღვარგარეთ მდებარე მის ოფისში. ტრანსპორტირებისას ამანათმა რაიმე**

დაზიანება, არ უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმიერება და კეთილსინდისიერება კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების ამოსავალი პრინციპებია. აღნიშნული პრინციპების გამოსატულებაა ის, რომ თუკი ხელშეკრულება არ სრულდება ან არაჯეროვნად სრულდება, კრედიტორმა შემდგომი შესრულებით (თუკი ეს შესაძლებელია) უნდა გამოასწოროს დანაკლისი. მოვაჭრის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი (8.1 და 8.8 პუნქტები) მხარეთა შორის დისბალანსს იწვევს, ვინაიდან მოვაჭრის მიერ არაჯეროვანი შესრულების პირობებში, მომხმარებელს ეკისრება ვალდებულება გაიდოს ხარჯი, უფრო მეტიც, უსაფრთხოების მომსახურების საფასურის გადახდა უწევთ იმ მომხმარებლებსაც, რომელთა ამანათიც არ დაზიანებულა, რადგან მათ ალტერნატივა არ აქვთ და ავტომატურად იხდიან უსაფრთხოების მომსახურების საფასურს. იმის შეფასებისას ადგება თუ არა მომხმარებელს ზიანი ყურადღება უნდა მიექცეს გარემოებას, დადგება თუ არა იგივე შედეგი, თუკი ხელშეკრულების სადავო პირობა არ იარსებებს. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამდენად, ჩვეულებრივ შემთხვევაში, მომხმარებელს შეეძლებოდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება იმ ნაკლისთვის, რაც გამოწვეულია მოვაჭრის მიერ და საერთოდ არ არის სავალდებულო, რომ დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების საფასური ჰქონდეს გადახდილი. მით უმეტეს, დამატებით მოსაკრებელს არ უნდა იხდიდეს პირი, რომლის ამანათიც არ დაზიანებულა.

ამასთან საგულისხმოა, ხომ არ ხდება ხელშეკრულების სხვა პირობით, განსახილველი პირობის შინაარსის დაბალანსება. საქმის შესწავლის ეტაპზე, ხელშეკრულების შესწავლისას არ გამოვლენილა ისეთი პირობა, რომელიც აღნიშნულ პირობას დააკომპენსირებდა და მომხმარებელს მიანიჭებდა ისეთ უფლებას, რომლის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა, სადავო პირობით გამოწვეული დისბალანსის აღდგენა.

მართლმსაჯულების სასამართლომ 2013 წლის 14 მარტის c-415/11 საქმეში სტანდარტული პირობების გამოყენებისას კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევასთან მიმართებით შემდეგი განმარტება გააკეთა: „ეროვნულმა სასამართლომ ამ მიზნებისთვის უნდა შეაფასოს, შეუძლია თუ არა მოვაჭრეს, რომელიც სამართლიანად და კეთილსინდისიერად ექცევა მომხმარებელს, გონივრულად ივარაუდოს, რომ მომხმარებელი დათანხმდებოდა ასეთ პირობებს მათზე ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგად“.²⁰ მოცემულ შემთხვევაში როგორც აღინიშნა ჩვეულებრივი, სახასიათო სახელშეკრულებო ვალდებულებიდან ხდება იმგვარი გადახრა, რომელიც არ არის მომხმარებლის სასიკეთო. მომხმარებელს ეკისრება დამატებითი „ტვირთი“ იმის დასაზღვევად, რომ მოვალისაგან ნაკლიანი შესრულების გამოსწორება მიიღოს. თუ გავითვალისწინებთ, ფაქტს, რომ ჩვეულებრივ შემთხვევაში, ნაკლოვანი შესრულებისას კრედიტორს არანაირი შესრულების ვალდებულება არ ეკისრება, სავარაუდოა, რომ მომხმარებელი ინდივიდუალური მოლაპარაკებისას არ იკისრებდა დამატებით იმგვარ ვალდებულებას, რომელიც კანონისგან ატიპიური გადახრაა და მას დამატებით ვალდებულებას წარმოუშობს. მოვაჭრე მის ინტერესს და შესასრულებელ ვალდებულებას მომხმარებელს აკისრებს. აღნიშნული კი მიიღწევა მხარეთა შორის

²⁰ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ 2013 წლის 14 მარტის საქმეში c-415/11 საქმეში

სახელმწიფოებო ძალისა და ცოდნის დისბალანსის, „ძლიერი“ მხარის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, რაც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.

ამასთან საგულისხმოა, რომ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ხელმწიფოების სტანდარტული პირობა მხარეებმა ინდივიდუალურად შეათანხმეს, მოვაჭრეს ეკისრება. საქმის შესწავლის ეტაპზე კი, მოვაჭრის მხრიდან აღნიშნულზე მითითება არ მომხდარა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს, ასევე, მოვაჭრის მსჯელობაზე იმის შესახებ, რომ მას ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა ავალდებულებს უსაფრთხოების საფასურის დაწესებას. როგორც მოვაჭრე აღნიშნავს მონრეალის 1999 წლის კონვენცია (MC 99) გადამწყვეტი საერთაშორისო ხელმწიფოებაა, რომელიც ადგენს ავიაკომპანიის პასუხისმგებლობას - **ტვირთის დაზიანების, დაზიანების ან ბარგისა და ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში**. იგი აერთიანებს ავიაკომპანიის პასუხისმგებლობის სხვადასხვა საერთაშორისო ხელმწიფოებების რეჟიმს 1929 წლიდან, რაც ქმნის ავიაკომპანიის პასუხისმგებლობის უნივერსალურ ჩარჩოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გარდა მონრეალის ხელმწიფოებისა, მოვაჭრე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ავია ინდუსტრიის საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) და სატვირთო გადამზიდავთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIATA) მიერ დადგენილ სტანდარტებზე და განმარტავს, რომ USA2GEORGIA უსაფრთხოებისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიჰყვება IATA-ს მიერ საჰაერო გადაზიდვებისთვის დადგენილ საუკეთესო პრაქტიკას. ხოლო, FIATA აყალიბებს მითითებებს, რომლებიც ტვირთის გადაზიდვის ადეკვატური დაზღვევის მნიშვნელობას აძლიერებს. მოვაჭრე სწორედ ზემოაღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ აღნიშნული დებულებები მას ავალდებულებს დააწესოს დამატებითი დაზღვევა ტვირთის გადაზიდვისას, განსაკუთრებით კი - ძვირადღირებული ტვირთის შემთხვევაში.

მოვაჭრე, ასევე, განმარტავს, რომ ყველა ექსპედიტორი, რომელიც FIATA-ს მულტიმოდალური ტრანსპორტის ზედნაღებს (FBL) გამოსცემს, ვალდებულია, ჰქონდეს მოქმედი პასუხისმგებლობის დაზღვევა FBL-ის წესებისა და პირობების შესაბამისად. ეს დაზღვევა გადამწყვეტია როგორც FBL-ის, ისე საექსპედიტორო ბიზნესის მთლიანობისა და რეპუტაციის დასაცავად და ასახავს ექსპედიტორის უნარს, უბედური შემთხვევის დროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეასრულოს.

მოვაჭრე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ FIATA-ს დოკუმენტიდან აღნიშნული პუნქტები ადასტურებენ, რომ ექსპედიტორებს აქვთ უფლება და ვალდებულება, დააწესონ ადეკვატური პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის შესაბამისი საზღაურის მოსაკრებელი. ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებით დაზღვევას შესაბამისი ღირებულების ტვირთისთვის, როგორც მათი, ასევე მომხმარებლების ინტერესების დასაცავად.

მოვაჭრის განმარტებით, იგი ვალდებულია, იხელმძღვანელოს საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი წესებით, განსაკუთრებით მონრეალის 1999 წლის კონვენციით, რომელიც აწესებს ავიაკომპანიების პასუხისმგებლობას, დაკარგული ან დაზიანებული ტვირთისთვის. აღნიშნული

რეგულაციები USA2GEORGIA-ს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ამ უკანასკნელმა დამატებითი ზომები ეძიოს მომხმარებლების დასაცავად.

სააგენტო, მოვაჭრის ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ “საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ” მონრეალის 1999 წლის 28 მაისის კონვენციის მე-3 თავი სრულად ეთმობა გადამზიდველის პასუხისმგებლობასა და კომპენსაციის ხარისხს. აღნიშნული კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „გადამზიდველი პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელიც წარმოქმნილია ტვირთის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ ზიანის გამომწვევი მოვლენა საჰაერო გადაზიდვისას მოხდა.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გადამზიდველის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, კერძოდ, „გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი, თუ და იმდენად, რამდენადაც ის დაამტკიცებს, რომ ტვირთის განადგურება, დაკარგვა ან დაზიანება მოხდა ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების შედეგად: ა) ტვირთისათვის დამახასიათებელი დეფექტი, ხარისხი ან ნაკლი; ბ) ტვირთის არასწორი შეფუთვა იმ პირის მიერ, რომელიც არ არის გადამზიდველი, მისი მოსამსახურე ან აგენტი; გ) ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის აქტი; დ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს აქტი, დაკავშირებული ტვირთის შეტანასთან, გამოტანასთან ან ტრანზიტთან.“ ხოლო, რაც შეეხება კონვენციის 22-ე მუხლს, რომელზეც მოვაჭრე უთითებს, იგი ადგენს მოვაჭრის პასუხისმგებლობის ფარგლებს ტვირთის გადაზიდვისას მისი განადგურების, დაკარგვის, დაზიანების ან შეფერხების შემთხვევაში.

„ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“ ვარშავის 1956 წლის კონვენცია არეგულირებს სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების ფასიანი (ანაზღაურებადი) საგზაო გადაზიდვების შესახებ ნებისმიერი ხელშეკრულების მიმართ, როდესაც ტვირთის მიღებისა და მიტანის ადგილები, რომლებიც მითითებულია ხელშეკრულებაში, მდებარეობს ორ სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ამ კონვენციის მონაწილეა, მიუხედავად ხელშეკრულების რეგისტრაციის ადგილის და ეროვნულობისა. აღნიშნული კონვენციის მე-17 მუხლი ადგენს გადამზიდველი კომპანიის პასუხისმგებლობას, კერძოდ, მისი პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან-ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო მოთხოვნის განმცხადებლის ბრალით, ამავე პირის ინსტრუქციებით, რომელზეც გადამზიდველი პასუხს არ აგებდა, ტვირთისათვის ისეთი გარემოებებით, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად იმის მტკიცება, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის დარღვევა გამოიწვია მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში დანიშნულმა გარემოებებმა, ეკისრება გადამზიდველს. ხოლო, ამავე კონვენციის 23-ე და შემდგომი მუხლები ადგენენ გადამზიდველი კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი ღირებულების ფარგლებს - „როდესაც ამ კონვენციის დებულებების თანახმად, გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისათვის ანაზღაუროს ზარალი, მაშინ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა

განისაზღვრება ტვირთის ღირებულების საფუძველზე გადაზიდვისათვის ტვირთის მიღების ადგილას და გადაზიდვის დროს²¹.

მონრეალის კონვენციის 50-ე მუხლი უთითებს, რომ კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს აქვთ უფლება მის იურისდიქციაში მოქმედ გადამზიდავებს მოსთხოვონ დაზღვევა, რომელიც ფარავს კონვენციით გათვალისწინებულ მათ პასუხისმგებლობას. იმ ქვეყანაში, რომელშიც გადამზიდავი ოპერირებს, სახელმწიფომ შეიძლება მოსთხოვოს მტკიცებულების წარდგენა, რომ მას აქვს მოქმედი ადეკვატური დაზღვევა, რომელიც ფარავს კონვენციით გათვალისწინებულ მის პასუხისმგებლობას.

სააგენტო, ასევე განმარტავს, რომ FIATA-ს დოკუმენტით განსაზღვრულია ნივთის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში გადამზიდველისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესი და ფარგლები. კერძოდ, 6.1.1 პუნქტის თანახმად გადამზიდველ კომპანიას ეკისრება პასუხისმგებლობა თუ იგი არ გამოიჩინოს სათანადო გულისხმიერებას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას, ასეთ შემთხვევაში მას დაეკისრება თანხის ანაზღაურება დაზიანებული ან დაკარგული ნივთის ღირებულების შესაბამისად. 7.1 პუნქტის თანახმად კი ზიანის დადგომის დროს ექსპედიტორი პასუხისმგებელია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თავად, საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით ახორციელებს გადაზიდვას, არამედ მაშინაც თუ მან გასცა სატრანსპორტო დოკუმენტი და გამოხატა ნება კონტრაქტორი გადამზიდველისთვის პასუხისმგებლობის გადაცემის შესახებ.

უნდა განიმარტოს, რომ FIATA-ს წესების ძირითადი მიზანი არის, ის რომ გადამზიდველმა აიღოს პასუხისმგებლობა თავის მიერ შესასრულებელ ვალდებულებაზე და მასში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ექსპედიტორმა მომხმარებლისგან უნდა ამოიღოს ის თანხა, რომლითაც იგი საკუთარ პასუხისმგებლობას აზღვევს სადაზღვევო კომპანიაში. შესაბამისად, შესაძლოა მოვაჭრის მტკიცება იმის შესახებ, რომ ყველა ექსპედიტორი, რომელიც FIATA-ს მულტიმოდალური ტრანსპორტის ზედნაღებს (FBL) გამოსცემს, ვალდებულია, ჰქონდეს მოქმედი პასუხისმგებლობის დაზღვევა FBL-ის წესებისა და პირობების შესაბამისად, სიმართლეს შეესაბამება, თუმცა ის, რომ FIATA-ს დოკუმენტით გათვალისწინებული წესები ადასტურებენ, რომ ექსპედიტორებს ვალდებულება აქვთ, დააწესონ ადეკვატური პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის შესაბამისი საზღაურის მოსაკრებელი, რაც შეიძლება მოიცავდეს დამატებით დაზღვევას შესაბამისი ღირებულების ტვირთისთვის, როგორც მათი, ასევე მომხმარებლების ინტერესების დასაცავად, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან FIATA-ს დოკუმენტში საუბარია მხოლოდ ექსპედიტორის პასუხისმგებლობაზე ამანათის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში და იგი არ განსაზღვრავს ამ უკანასკნელის მიერ სავალდებულო დაზღვევის შემოღების წესს, მითუმეტეს მომხმარებლის ხარჯზე.

საკითხის ნათლად წარმოჩენისთვის, სააგენტო, ასევე, შეაფასებს პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივ ბუნებას. კერძოდ, ვინ არიან მხარეები და ვინ არის ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის, დაზღვევა, დაკავშირებული

²¹ „ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“ ვარშავის 1956 წლის კონვენცია - 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

პასუხისმგებლობის დაზღვევა დაზღვეულ მხარეს საშუალებას აძლევს, საკუთარი რისკი გადასცეს სადაზღვევო კომპანიას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაზღვეულის პასუხისმგებლობით და რომელიც შეიძლება მიადგეს მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ან ქონებას. პასუხისმგებლობის დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა დამზღვევი გაათავისუფლოს იმ ვალდებულებებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო.²²

პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს მესამე პირისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, რომელიც შეიძლება მიადგეს მის სიცოცხლეს ჯანმრთელობას, ან **ქონებას**. ზარალი შესაძლოა იყოს, როგორ ქმედებით, ასევე უმოქმედობით გამოწვეული. პასუხისმგებლობის დაზღვევაში მონაწილეობს **სამი პირი, პირველი და მეორე პირი არის სადაზღვევო კომპანია და დამზღვევი, ხოლო მესამე პირი კი, ყველა ის პოტენციური დაზარალებული, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ზარალი დაზღვეულის ბრალეულობით**. პასუხისმგებლობის დაზღვევა მისაღებია სამივე მხარისათვის, სადაზღვევო კომპანია ქმნის ფულად პორთფელს, მასში ახდენს თანხების მობილიზებას პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს **დაზღვეულების (ამ შემთხვევაში მოვაჭრე) მხრიდან გადახდილი სადაზღვევო პრემიებით**. დამზღვევი თავის სამოქალაქო პასუხისმგებლობის რისკს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს უნებლიეთ, გადასცემს სადაზღვევო კომპანიას, ხოლო მესამე პირი კი დაზარალების შემთხვევაში ინაზღაურებს ზარალს კომპანიისგან, რაც წარმოადგენს უფრო დიდ გარანტიას, ვიდრე ჩვეულებრივი სამოქალაქო პირი.

უფრო კონკრეტულად, გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ეხება ქონებრივ ინტერესებს, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის პასუხისმგებლობასთან მგზავრთათვის, ტვირთის მფლობელთათვის და სხვა მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის გამო. ავიაგადაზიდვების დროს ზიანი შესაძლოა მიადგეს მესამე პირის ქონებას, ან სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას სადაზღვევო პრემიას იხდის დამზღვევი, ხოლო მზღვეველი საკუთარ თავზე იღებს რისკებს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი, მაგალითად საგნების ვარდნის შემთხვევაში**. ანუ ამ შემთხვევაში, usa2georgia-ს პასუხისმგებლობის დაზღვევის საფასური უნდა გადაიხადოს თავად usa2georgia-მ და მომხმარებელმა, რომელიც არის მესამე პირი, თავისი ამანათების აშშ-დან და თურქეთიდან საქართველოში გადმოსაზიდად იყენებს usa2georgia-ს მომსახურებას, არ არის ვალდებული სადაზღვევო კომპანიას გადაუხადოს კომპანიის პასუხისმგებლობის დაზღვევის საფასური, რადგან თუ დადგება ნივთის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევა, მოვაჭრე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ისედაც ვალდებულია მას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ნებისმიერ მომხმარებელს, usa2georgia-ს მომსახურების მიღების დროს, უალტერნატივოდ, უწევს დამატებითი უსაფრთხოების მოსაკრებლის გადახდა, რომლითაც დაზღვეულია მოვაჭრის პასუხისმგებლობა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოვაჭრე შესაფასებელი პირობების**

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 839 „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“,

მართებულობას ხსნის მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მას საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა ამანათის დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში აკისრებს პასუხისმგებლობას და მას ამ ვალდებულების შესასრულებლად უწევს შესაბამისი წყაროების მოძიება.

სწორედ სავაჭრო პოლიტიკის 8.1 და 8.8 პუნქტების საფუძველზე მოუწია გ----ა გ----ს და რ--ნ კ----ს დამატებითი უსაფრთხოების საფასურის გადახდა. კერძოდ, გ--ა გ----მა, ონლაინ სავაჭრო აპლიკაციიდან „Farfetch“ გამოიწერა ძვირადღირებული ნივთი (სამკაული), რომლის წონაც 1 კილოგრამი და 700 გრამი იყო. ტრანსპორტირების თანხამ შეადგინა არა მოვაჭრის მიერ გაცხადებული ტარიფის შესაბამისი თანხა (1 კილოგრამზე 9 ამერიკული დოლარი ანუ 40 ლარი), არამედ 316 ლარი, საიდანაც 261.71 ლარი იყო ე.წ. „დამატებითი უსაფრთხოების“ გადასახადი. ხოლო რ----ნ კ---ი პრეტენზიას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ამანათის ტრანსპორტირებისას ამანათის უსაფრთხოების მომსახურების ტარიფის გადახდა არის სავალდებულო ყველა მომხმარებლისთვის, იგი ავტომატურად ირთვება ყველა მომხმარებლისთვის, მისივე განმარტებით, ამანათის უსაფრთხოების მომსახურების ტარიფი დაწესებულია, იმისთვის, რომ მომხმარებელს აუნაზღაურონ დაკარგული ამანათების ღირებულება. დაკარგულ ამანათებზე პასუხისმგებელია გადამზიდველი და ამანათის დაზღვევა და ამანათების უსაფრთხოების მომსახურება არის დამატებითი, ნებაყოფლობითი მომსახურება და არა სავალდებულო, რადგან დაკარგული ამანათების ღირებულების ანაზღაურება ისედაც გადამზიდავი კომპანიის ვალდებულებაა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რ--ნ კ---ის შემთხვევაში დამატებითი უსაფრთხოების მომსახურების საფასურმა შეადგინა 1 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის 8.1 და 8.8 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები მიჩნეულ იქნა უსამართლოდ და მას საერთოდ არ უნდა ჰქონოდა დამატებითი უსაფრთხოების მოსაკრებელი დადგენილი, იგი ვალდებულია აღადგინოს იმ მომხმარებელთა დარღვეული უფლებები, რომლებსა ზიანი მიადგათ და მოუწიათ ზედმეტი თანხის გადახდა ხელშეკრულების 8.1 და 8.8 პუნქტების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ ხელშეკრულების 8.1 და 8.8 პირობების დისპოზიცია ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების და ნდობის პრონციპებს, ასევე, იგი იწვევს მნიშვნელოვან დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტები კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მიჩნეული უნდა იქნან უსამართლო სტანდარტულ პირობებად.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეფასების შედეგად, სააგენტოს შეფასებით, ადგილი აქვს სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის,

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს სს „თითიელ აშშ ჯგუფის“ (ს/ნ 205243048) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი.